ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 41

27 დეკემბერი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი; ლევან არველაძე; ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:
1.საფინანსო-საქალაქო სამსახურის წერილი№11-011835930-44 (25.12.2018წ) 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით შესათანხმებლად წარმოდგენილია საჯარო მოხელეთა ფულადი ჯილდოს გასაცემად, საქალაქო სამსახურების და გამგეობების პროგრამების ფარგლებში ასიგნებების (ეკონომიების) გადანაწილება.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი „თბილისის მუნიციპლიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც საფინანსო საქალაქო სამსახური ითხოვს საჯარო მოხელეთა ფულადი ჯილდოს გასაცემად, პროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტების „ბ" ქვეპუნქტის

შესაბამისად მიეცეს თანხმობა გადანაწილებას საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის (№11-01183603376) დანართის შესაბამისად.

დანართი: 2 ფურცელი.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა